ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2572749

ნომერი: AR1400032

თარიღი : 25.04.2016

გაცემის თარიღი : 16.05.2016

გაცნობის თარიღი : 17.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 86 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ ბექაია პ/ნ 01025007780
- თბილისი დიდი დიღომი გ.ბრწყინვალეს ქ. N 5 ბ. 43

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16/02/2016წ. N2431509 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს,

25/04/2016წ. AR1400032 განაცხადით, მომართა ვალდიმერ ბექაიამ და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 16/02/2016წ. N2431509 ბრძანებაში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 16/02/2016წ. N2431509 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ნუცუბიძის ქუჩა N86-ში, შპს „ეი ჯი კომპანის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.04.010.006), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, 16/02/2016წ. N2431509 ბრძანებაში დაფიქსირებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები არ შეესაბამება შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციას, რის გამოც, წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია გასწორდეს დაშვებული შეცდომა და ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში, დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 521.2, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 2022.2, ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 525.7, საერთო ფართობი (კვ.მ).: 3694.1.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ გასწორებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 16/02/2016წ. N2431509 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16/02/2016წ. N2431509 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 521.2, საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 2022.2, ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 525.7, საერთო ფართობი (კვ.მ).: 3694.1. ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი.

2. ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 16/02/2016წ. N2431509 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.